

ოფსეტი

ფიზიკური პირებისთვის

ოფსეტი - არის ფუნქცია სესხზე, რომლის საშუალებითაც ხდება სესხზე დასარიცხი პროცენტის დაანგარიშება. პროდუქტი განკუთვნილია ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც სარგებლობენ იპოთეკური სესხით.

ოფსეტის ანგარიში: მსესხებლის/თანამსესხებლის საბარათე ანგარიში (ანგარიშზე არ ხდება პროცენტის დარიცხვა)

ოფსეტის ანგარიშის ტარიფები:

ბარათის ყოველწლიური მომსახურება	ბარათის ტიპის შესაბამისად
თიბისი ბანკის ფილიალებში	0.6% მინ. 0.1 USD/EUR ან 0.2 GEL (ლარის ანგარიშიდან)
სხვა ბანკებში	2% მინ 3 USD/EUR ან 6 GEL (ლარის ანგარიშიდან)
თანხის განაღდება ბანკომატებში	
თიბისი და ვითიბის ბანკების ბანკომატებში	0.2% მინ. 0.2 GEL 0.1USD/EUR
სხვა ბანკომატებში	2% მინ. 3 USD/EUR ან 6 GEL (ლარის ანგარიშიდან)
საკომისიო სავაჭრო ობიექტებში	0%
ბარათზე დარიცხვა	არ ხდება

- აღნიშნულ ანგარიშებზე შეღავათები არ ვრცელდება

ოფსეტ ანგარიშის ვალუტა: - ლარი, დოლარი, ევრო მსესხებლის სურვილისამებრ. შესაძლებელია სესხის ვალუტა განსხვავდებოდეს ოფსეტის ანგარიშის ვალუტისგან. ამ შემთხვევაში კალკულაცია მოხდება მიმდინარე დღის ეროვნული კურსით.

- ოფსეტ ანგარიში ერთ კონკრეტულ სესხზე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, კონკრეტული ვალუტის ანგარიში, რომელზე არსებული თანხის შესაბამისად დაითვლება სესხის პროცენტი. (პროცენტის დათვლის დროს სხვა მულტისავალუტო ანგარიშებზე არსებული თანხების დათვლა არ ხდება)
- ოფსეტ ანგარიშის ცვლილება - შესაძლებელია ოფსეტ ანგარიში შეიცვალოს კლიენტის სურვილის შემთხვევაში. ცვლილების შემთხვევაშიც აქტიური იქნება მხოლოდ ერთი (განახლებული) ანგარიში.

ოფსეტ ანგარიშის გახსნა:

- იმ შემთხვევაში თუ კლიენტს სურს ოფსეტ ფუნქციის გააქტიურება ლარის საბარათე ანგარიშზე, იხსნება მხოლოდ ერთი (ლარის) ანგარიში.
- თუ კლიენტს სურს უცხოურ ვალუტაში ოფსეტ ანგარიშის გახსნა, კლიენტს ვუხსნით საბარათე ანგარიშს 2 ვალუტით: ლარის და კლიენტის მიერ მოთხოვნილ უცხოური ვალუტის ანგარიშს.

ოფსეტის ვადა - ნაკლები ან ტოლი შესაბამისი სესხის ვადაზე

ოფსეტის ფუნქციის დახმარებით სესხზე პროცენტის დაანგარიშების წესი:

ოფსეტის ფუნქციის ჩართვის შემთხვევაში სესხზე პროცენტის დაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: სესხის მიმდინარე ნაშთს - ოფსეტის ანგარიშზე განთავსებული თანხა* სესხის წლიურ პროცენტზე/365* დღეების რაოდენობა

მაგ: კლიენტის მიმდინარე სესხის თანხა შეადგენს 80 000 აშშ დოლარს. დაფარვის თარიღი აქვს 25 რიცხვში. თვის 1-დან 15 რიცხვამდე ოფსეტ ანგარიშზე ქონდა 25 000 აშშ დოლარი, ხოლო 15 რიცხვიდან 25-მდე- 0 აშშ დოლარი. მაშინ სესხის პროცენტი 1-დან 15 რიცხვამდე დაერიცხება 80 000-25 000=55 000 აშშ დოლარზე, ხოლო 15-დან სესხის მთლიან ნაშთზე ანუ 80 000-ზე.

მინიმალური ზღვარი სადამდეგ შესაძლებელია შემცირდეს სესხის თანხა, რომლსაც ერიცხება პროცენტი: სესხის მიმდინარე ნაშთის 25%

მაგ: თუ სესხის თანხაა 100 000 აშშ დოლარი, ხოლო მსესხებელს ოფსეტ ანგარიშზე 7 დღით აქვს 100 000 აშშ დოლარი- ამ 7 დღის განმავლობაში პროცენტი დაერიცხება 25 000 აშშ დოლარს (სესხის თანხას გამოკლებული ოფსეტ ანგარიშზე არსებულ თანხა, მინიმუმ სესხის მიმდინარე ნაშთის 25%)

ოფსეტ ანგარიშზე არსებული თანხა: ითვლება ყოველდღიურად, დღის ბოლოს ანგარიშზე დაფიქსირებული ნაშთის შესაბამისად.

ფეიმენტი: ოფსეტ ფუნქციის საშუალებით კლიენტი სარგებელს ნახულობს დასარიცხ პროცენტში. ხოლო გრაფიკით გათვალისწინებული სესხის ძირითადი თანხა რჩება უცვლელი.

ოფსეტ ანგარიშზე არსებული თანხის მინიმალური ქვედა ზღვარი: 100 ერთეული.

თუ ოფსეტ ანგარიშზე დღის ბოლოს დაფიქსირებული ნაშთი ნაკლებია 100 ერთეულზე - არ ხდება ოფსეტ ფუნქციის გამოყენება.

მაგ: კლიენტის მიმდინარე სესხის თანხა შეადგენს 80 000 აშშ დოლარს. დაფარვის თარიღი აქვს 25 რიცხვში. თვის 1-დან 15 რიცხვამდე ოფსეტ ანგარიშზე ქონდა 25 000 აშშ დოლარი, ხოლო 15 რიცხვიდან 25-მდე- 50 აშშ დოლარი. მაშინ სესხის პროცენტი 1-დან 15 რიცხვამდე დაერიცხება 80 000-25 000=55 000 აშშ დოლარზე, ხოლო 15-დან სესხის მთლიან ნაშთზე ანუ 80000-ზე, რადგან ოფსეტ ანგარიშზე არსებული თანხა ნაკლებია პროცენტის შემცირებისთვის საჭირო თანხის მინიმალური ქვედა ზღვარზე - 100 ერთეულზე.

ოფსეტის ფუნქციის გააქტიურება: შესაძლებელია როგორც ახალ ასევე მიმდინარე იპოთეკურ სესხებზე

ოფსეტის ჩართვის ღირებულება - სესხის მიმდინარე ნაშთის 0.1%, მინ 30 მაქს 500 ერთეული

- სს თიბისი ბანკის თანამშრომლისთვის ოფსეტის ჩართვა უფასოა.